საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	12	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	11	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	73	100

სახელი, გვარი: [illegible]

თარიღი : 8, ივლისი, 2021წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
გოჩა აბუსერიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, **თამარ ალფაიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომ - ორგანული კანონი) 34^1 მუხლის მე-11 პუნქტი განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომ - საბჭო) წევრის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების წესს. კერძოდ, კანდიდატების საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, საბჭოს უახლოეს სხდომამდე საბჭოს თითოეული წევრი, კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებს ქულებით ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამავე კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. ამასთან, საბჭოს თითოეული წევრი კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას ხელმძღვანელობს ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი და 35^1 მუხლის მე-15 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნებით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის №1/138 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო **თამარ ალფაიძემ.**

კანდიდატს აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი), სპეციალობით მუშაობის 21 წლამდე გამოცდილება. თამარ ალფაიძე არ არის მოქმედი ან ყოფილი მოსამართლე. ამჟამად იგი იკავებს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის შეფასებისთვის ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლებით, საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მოპოვებული ინფორმაციითა და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებებით.

ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით/36[4] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36[3] მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. შესაბამისად, წარმოგიდგენთ კანდიდატ **თამარ ალფაიძის** კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასების დასაბუთებას.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით

ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტის გათვალისწინებით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას გაითვალისწინება ამავე კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტი და 36[3] მუხლი, რომლის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასების შემდეგ მახასიათებლებს: პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-3-7 პუნქტებში დეკლარირებულია თითოეული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისთვის გამოსაყენებელი კომპონენტები. თუმცა, ცალკეული მათგანი, მათ შორის, სამოსამართლო ეთიკის დაცვისა და მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევის მოთხოვნები მიემართება უშუალოდ სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს.

ამდენად, მიზანშეწონილია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატზე თანასწორობის პრინციპის დაცვით გავრცელდეს მისთვის რელევანტური საკანონმდებლო მოთხოვნები.

1.1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით კანდიდატის

შეფასებისას გაითვალისწინება პირის – როგორც მოსამართლისა და მოქალაქის – პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები თამარ ალფაიძის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს უმაღლეს შეფასებას უწერენ. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატის პიროვნული კეთილსინდისიერება ცნობილია ყველასთვის, ვისაც მასთან ჰქონია ურთიერთობა. ამასთან, რეკომენდატორი მიუთითებს, რომ კანდიდატი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ ქცევას.

თამარ ალფაიძეს მიმდინარე სესხი არ უფიქსირდება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმები. ნაკლოვან მხარედ მიმაჩნია ის, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები კანდიდატს შედგენილი აქვს მათ შორის პარკირების საფასურის გადახდის გარეშე სატრანსპორტო საშუალების დგომისათვის.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ თამარ ალფაიძე აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მახასიათებელს.

1.2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით თამარ ალფაიძე დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი პიროვნებაა. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ მას თამარ ალფაიძეზე ზეწოლის განხორციელება რთულად წარმოუდგენია. კანდიდატი ყოველთვის მკაცრად იცავს ამა თუ იმ საკითხზე მისეულ პოზიციას და იოლად არ ექცევა სხვადასხვა გავლენის ქვეშ.

თამარ ალფაიძე არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, კანდიდატი 2019 წელს მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში იყო დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ თამარ ალფაიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მახასიათებელს.

1.3. პიროვნული და პროფესიული ქცევა

ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით თამარ ალფაიძის პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება ქცევის მაღალ სტანდარტს. რეკომენდატორი მიუთითებს კანდიდატის პიროვნულ ქცევაზე, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს მის პროფესიულ ქცევას, რომელიც არასდროს სცდება აკადემიური სტანდარტის მახასიათებლებს. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ ყველასთვის ცნობილია კანდიდატის გაწონასწორებული და მშვიდი ხასიათი.

მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ თამარ ალფაიძის მიმართ საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისთვის პასუხისმგებლობის ზომად განსაზღვრა სხვადასხვა დისციპლინური პასუხისმგებლობა:

- ✓ რექტორის 2018 წლის 16 ნოემბრის ბრძანებით მიეცა შენიშვნა საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო;
- ✓ რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო (მეორე შემთხვევა) დისციპლინური გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა ერთი სალექციო მეცადინეობის ანაზღაურების ექვივალენტური ხელფასის დაკავება;

- ✓ რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით მიეცა შენიშვნა მარტი-აპრილის თვეებში ლექციებზე/მეცადინეობებზე დაგვიანებების გამო;
- ✓ რექტორის 2019 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებით მიეცა გაფრთხილება 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა დასკვნითი გამოცდის შეფასების შეცვლის გამო.

ამასთან, თამარ ალფაიძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, კანდიდატი მონაწილეობდა მოპასუხედ სამოქალაქო საქმეში, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა თანხის გადახდის დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 აგვისტოს განჩინებით სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი მასალებით დგინდება, რომ კანდიდატის მიმართ, დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, ინფორმაცია არ მოიპოვება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ თამარ ალფაიძე აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მახასიათებელს.

1.4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები თამარ ალფაიძეს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად, რომელიც კოლეგებს შორის სარგებლობს პატივისცემით. თამარ ალფაიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის არის ცნობა მისი პოლიტიკური საქმიანობის, ასევე სემეკის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს კანდიდატობის შესახებ.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ თამარ ალფაიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მახასიათებელს.

1.5. ფინანსური ვალდებულება

ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, თამარ ალფაიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ თამარ ალფაიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მახასიათებელს.

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5-ვე მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე დადებითად. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ თამარ ალფაიძე, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის გათვალისწინებით, **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი შემდეგი მახასიათებლები: სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა.

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის

მიერ ცოდნის დონე. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შესაფასებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გამოითხოვოს მოსამართლეობის კანდიდატის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირის შეფასებით, თამარ ალფაიძე მაღალ დონეზე ფლობს სამართლის ნორმებს, ქართული სამართლებრივი აქტების სისტემას, სამართლის ზოგად თუ დარგობრივ პრინციპებს, რას მას აძლევს საშუალებას საკითხებს შეხედოს არა მხოლოდ პოზიტიური სამართლის, არამედ სამართლის ფუძემდებლური პრინციპების ჭრილში.

საჯარო მოსმენის პროცესზე თამარ ალფაიძემ ვერცერთ ჩემს სამართლებრივ შეკითხვას ვერ გასცა პასუხი, რასთან დაკავშირებით მიუთითა მის დაძაბულ ფსიქოლოგიურ ფონზე. კანდიდატთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების მიზნით შეკითხვები დავუსვი მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომიდან ,,შესავალი სამართალმცოდნეობაში'', საიდანაც ნაწილობრივ გასცა პასუხი მონარქიის ფორმებზე, თუმცა ვერ განმარტა სისხლის სამართლის პროცესში ანალოგიის გამოყენების პრინციპი. კანდიდატმა არასრულყოფილად იმსჯელა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის საქმიანობასა და მედიის გამოხატვის თავისუფლებაზე. მსჯელობა ვერ განავითარა წმინდა და შერეული უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ თამარ ალფაიძეს არ აქვს ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, იგი არ ყოფილა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლით შეფასებისას, თამარ ალფაიძეს უნდა მიენიჭოს ამავე მუხლის მე-16 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური **25** ქულიდან **12** ქულა.

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებში მსჯელობა თანმიმდევრული და ლოგიკურია. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ

კანდიდატის, როგორც იურისტის აზროვნება სამართლის პრინციპებზეა დაფუძნებული და მას აქვს უნარი მოახდინოს გადასაჭრელი საკითხის სწორად ანალიზი და შედეგად მიიღოს მართებული გადაწყვეტილება.

ცალკეულ სამართლებრივ შეკითხვებზე მეტ-ნაკლები სიცხადით საუბრის მიუხედავად, საჯარო გასაუბრებისას თამარ ალფაიძემ ვერ შეძლო დამაჯერებელი და დასაბუთებელი მსჯელობის განვითარება სამართლის ბაზისურ და ფუნდამენტურ საკითხებზე. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები როგორც სტილისტურად, ისე საკითხის სიღრმისეულად გადმოცემის თვალსაზრისით სრულყოფილია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლით შეფასებისას, თამარ ალფაიძეს უნდა მიენიჭოს ამავე მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური **25** ქულიდან **18** ქულა.

2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

თამარ ალფაიძემ წარმოადგინა 3 სამეცნიერო პუბლიკაცია, კერძოდ ესენია: „ჰუმანური სამართალი, სამართლის ჰუმანური პრინციპები“, „ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება“ და „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება“. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, ფლობს აკადემიური წერის უნარ-ჩვევებს. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირი უთითებს, რომ თამარ ალფაიძე სრულყოფილად ფლობს წერის უნარს, იგი გადმოსცემს არამხოლოდ ინფორმაციას, არამედ კონკრეტული ფაქტების ლოგიკური ანალიზის შედეგად აყალიბებს მისეულ პოზიციას.

კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა მშვიდად და გაწონასწორებულად მეტყველების უნარი, თუმცა რიგ შემთხვევებში თამარ ალფაიძეს ეტყობოდა შებოჭილობა და მომეტებული ნერვიულობა, რამაც ხელი შეუშალა მას უკეთ წარმოეჩინა საკუთარი პიროვნული თვისებები და კომპეტენცია. კანდიდატმა აღნიშნული გარემოება ახსნა ჯანმრთელობის მდგომარეობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლით შეფასებისას, თამარ ალფაიძეს უნდა მიენიჭოს ამავე მუხლის მე-16 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური **20** ქულიდან **17** ქულა.

2.4. პროფესიული თვისებები

ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები თამარ ალფაიძის პროფესიულ თვისებებს აფასებენ დადებითად. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატი არის უსაზღვროდ შრომისმოყვარე პიროვნება, რომელსაც ახასიათებს გუნდურობა. იგი ასევე კარგად უმკლავდება სტრესულ სიტუაციებს, ხოლო მის წინაშე მდგარ ამოცანებს ასრულებს მაღალკვალიფიციურად და პასუხისმგებლიანად.

პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გასათვალისინებელია ისიც, რომ თამარ ალფაიძის მიმართ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობა უკავშირდება მათ შორის დაკისრებული მოვალეობის არაპუნქტუალურად შესრულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლით შეფასებისას, თამარ ალფაიძეს უნდა მიენიჭოს ამავე მუხლის მე-16 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური **15** ქულიდან **11** ქულა.

2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

თამარ ალფაიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული სამართლებრივ საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში, მათ შორისაა სასწავლო კურსი ადამიანის

საერთაშორისო უფლებებში, ტრენინგი მედია რეგულაციის საკითხებზე და სხვ. კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებულა მედია სამართლის საერთაშორისო კონფერენციაში.

თამარ ალფაიძე არის სამართლის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი. კანდიდატის აკადემიური ნაშრომი იურიდიული მეცნიერების დარგში "სამართალმცოდნეობის შესავალი" წარდგენილია საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლით შეფასებისას, თამარ ალფაიძეს უნდა მიენიჭოს ამავე მუხლის მე-16 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური **10** ქულიდან **10** ქულა.

2.6. პროფესიული აქტივობა

ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება და სხვა.

პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ალფაიძე ეწევა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. კერძოდ, კანდიდატი არის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი და კითხულობს ლექციებს შემდეგ დისციპლინებში: სამართალმცოდნეობის შესავალი, საკანონმდებლო ტექნიკა, მედია სამართალი და თვით რეგულირება, კონსტიტუციური სამართალი, ინფორმაციული უსაფრთხოება და კიბერ უსაფრთხოება. თამარ ალფაიძე არის რამდენიმე სამეცნიერო სტატიისა და წიგნის ავტორი/თანაავტორი, მათ შორისაა „მედია სამართალი", „შესავალი სამართალმცოდნეობაში" და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლით შეფასებისას, თამარ ალფაიძეს უნდა მიენიჭოს ამავე მუხლის მე-16 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური **5** ქულიდან **5** ქულა.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

თამარ ალფაიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატს ვაფასებ **73** ქულით, რაც მაქსიმალურ ქულათა ჯამის (100 ქულა) **73%**-ს შეადგენს.

გოჩა აბუსერიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
8/ _____/2021 წელი